სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/100

ქ. თბილისი 23 ივლისი 2021 წ.

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-058-04/71 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ბექა მაისურაძის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის №01-05-02/22 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის #01-058-04/71 დადგენილებაში და მისი მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის საკონკურსო განცხადების, კონკურსანტის ანკეტის, კონკურსანტის განცხადების სარეგისტრაციო ჟურნალის,

განცხადება/საჩივრის, განცხადება/საჩივრის სარეგისტრაციო ჟურნალის, კონკურსანტის განცხადების მიღების შესახებ ცნობის და განცხადება/საჩივრების მიღების შესახებ ცნობის ფორმები.“

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**